



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 51
25/05/2018

51-04-4-201805251739



„ფიზიკური პირების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების (გატყვევებული ტერიტორიები) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წარმოდგენილი წინადადების მოწონების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის N6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. უარი ეთქვას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს თემურ ავალიანს მის მიერ ინიცირებული „ფიზიკური პირების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების (გატყვევებული ტერიტორიები) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წარმოდგენილი წინადადების მოწონების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცებაზე.

2. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე